2:0 _ ცდკა-ს სასარგებლოდ

12 მაისს მოსკოვში შედგა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი. თბილისის "დინამო" შეხვდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს ცდკა-ს. თბილისელები მოედანზე შეცვლილი შემადგენლობით გამოვიდნენ, არ თამაშობდა ბ. პაიჭაძე.

თამაშის პირველ ნახევარში მე-12 და მე-16 წუთებზე მოსკოველებმა ნიკოლაევმა და დიომინმა თითო ბურთი გაიტანეს თბილისელთა კარში, ამის შემდეგ არმიელები აქტიურ დაცვაზე გადავიდნენ. "დინამოს" თავდამსხმელები ხშირად გადიოდნენ მოსკოველთა კართან, მაგრამ უშედეგოდ.

თამაშის მეორე ნახევარმა თავიდან ბოლომდე თბილისელთა აშკარა უპირატესობით ჩაიარა. მათი თავდამსხმელები "დასახლდნენ" მოწინააღმდეგის კართან, ზედიზედ აწოდებდნენ კუთხურ დარტყმებს, ნახევარდაცვა და დაცვაც კი კართან ტრიალებდნენ. ამას შედეგი არ მოჰყოლია, რადგან თბილისელები აგვიანებდნენ ბურთის გადაცემას, არაზუსტად ურტყამდნენ.

"ახალგაზრდა კომუნისტი", 14 მაისი, 1949 წ.